ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 93

ქალაქი ქუთაისი 27 ივლისი 2022 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების
გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის
საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების
შეტანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №70 დადგენილების შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს ლოტი №48 (234) თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულო

188

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის
№ 93 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი № 48

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერი	მისამართი	x	y	
	№ 234	ტროტუარი	№03.05.26.139	ქალაქი ქუთაისი, ოცხელის ქუჩა №2, ნაკვეთი №1-1-ის დასავლეთით	309050.33 309049.31	4679814.67 4679812.06	ცალმხრივი

შენიშვნა: ლოტი №48-ით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება (ცალმხრივი) უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +4,50 მეტრისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 3,00 მეტრ სიგრძეს და ვერტიკალურად 2,00 მეტრ სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას. გარე სარეკლამო საშუალების საბოლოო იერსახე შეთანხმებული უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია